აძლიერებს რა ყურადღებას კანონების განუხრელი დაცვისადმი, პარტია იმით ხელმძღვანელობს, რომ მტკიცე მართლწესრიგის დაუმყარებლად წარმოუდგენელია სოციალისტური ცხოვრების წესიც და სოციალისტური დემოკრატიაც, კანონიერებისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცებისათვის საჭიროა უფრო აქტიურად გამოვიყენოთ როგორც კანონის ძალა, ისე საზოგადოებრივი აზრის ავტორიტეტი.

საბჭოთა ადამიანების მაღალ მორალურ-პოლიტიკურ თვისებებს თვით ჩვენი ცხოვრების წყობა აყალიბებს ლენინური პარტიის წარმმართველი გავლენის მეშვეობით. ამასწინანდელმა სრულიად საკავშირო იდეოლოგიურმა თათბირმა პარტიულ ორგანიზაციებს, მთელ ჩვენს კადრებს მიზნად დაუსახა თანამიმდევრულად შეასახან ხორცი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, საბჭოთა ადამიანები, ყოველი ახალი თაობა მოწოდებულნი არიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს ეუფლებოდნენ როგორც საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და პერსპექტივების ცოდნის მოლიან სისტემას. იმისათვის, რომ ცხოვრების მიერ წამოყენებული მოთხოვნების დონეზე ვიყოთ, საჭიროა ღრმად ვსწავლობდეთ მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებებს, პარტიული ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დოკუმენტებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომებს, მის წიგნებს „მცირე მიწას“, „აღორძინებას“ და „ყამირს“. **(ხანგრძლივი ტაში).**

მარად ცოცხალ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დაფუძნებული სოციალისტური იდეოლოგია ჰუმანიტარი ჰუმანიზმის, მშრომელი კაცის, ისტორიის შემოქმედი ხალხის მასების აღმშენებლობითი ძალის რწმენაა. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღებულნი, ჩვენ გადავწყვეტთ ნებისმიერ ამოცანას, დავძლევთ ნებისმიერ სიძნელეს, ავაშენებთ კომუნიზმს! **(ხანგრძლივი ტაში).**

IV. მტკიცე მშვიდობისა და გამალებული შეჯარაღების შეწყვეტისათვის

ამხანაგებო! ცნობილი ზავის დეკრეტის გამოცხადებისთანავე ვ. ი. ლენინმა თქვა, რომ ჩვენ „გადამწყვეტი ბრძოლა დავიწყეთ ...ომის წინააღმდეგ“. „...ეს ბრძოლა ძნელია“. „მაგრამ, — ბაზს უსვამს ლენინი, — ჩვენ ვერ შეგვაჩერებს ის ცოფმრეული მძულვარება, რომელსაც ბურჟუაზია იჩენს ჩვენდამი, ზავისაკენ ჩვენი მოძრაობისადმი“.

და აი, ექვს ათწლეულზე მეტია ლენინის ანდერძის ერთგული ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულ ბრძოლას ეწევიან მშვიდობისათვის. ოქტომბრის სამშობლო პირნათლად იხდის თავის დიად მისიას როგორც მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ბურჯი. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირს, სოციალიზმის მომშე ქვეყნებს გადამწყვეტი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ აღიკვეთა თერმობირთვული ომის საფრთხე, წინა პლანზე დადგა გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ამოცანა. ისტორიული მნიშვნელობის მოღწევა გახდა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის დამკვიდრება საერთაშორისო ურთიერთობის ნორმად. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სხვა ქვეყნების ორმხრივი შეთანხმებანი სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა სტაბილური ურთიერთობის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზაა. დიდია ადამიანთა მისწრაფება, რომელთაც სწადიათ დაამკვიდრონ უშიშროება ევროპაში, განავითარონ სახელმწიფოთა მრავალმხრივი ურთიერთობა, რასაც ხელს უწყობს სრულიად ევროპის თანბირის საბოლოო აქტი.

გასულ წელს კიდევ უფრო განვითარდა ჩვენი ურთიერთობა ბევრ სახელმწიფოსთან. ნამდვილი კეთილშეზნობლობის კარგი მაგალითია სსრ კავშირის მშვიდობიანი თანაშრომლობა ფინეთთან, ინდოეთთან, შუა და ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის მთელ რიგ სახელმწიფოებთან. საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი ურთიერთობა საბერძნეთთან და თურქეთთან. სულ უფრო მტკიცდება ჩვენი მრავალმხრივი ურთიერთობა ყველა კონტინენტის მეტ წილ ქვეყნებთან.

მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობამ, მრავალი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა უდიდესი მნიშვნელობის აქციად აღიქვეს და მოიწონეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადება, და იღწინან მისი რაც შეიძლება მალე ამოქმედებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ფართოდ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის წინადადებას საერთაშორისო ურთიერთობაში ჰეგემონიზმის პოლიტიკის შეუწყნარებლობის შესახებ. ჰეგემონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დაძაბულობის შენელების გაღრმავების, მსოფლიო პოლიტიკაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების, მცირე ქვეყნებისა და ხალხების უფლებათა დაცვის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა.

საბჭოთა კავშირის ურყევი ერთგულება მშვიდობის საქმისადმი, მისი უდიდესი ზრუნვა კაცობრიობის მომავლისათვის მკაფიოდ გამოიხატა ახალი საბჭოთა ინიციატივებით, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა ბერლინში გამოსვლისას. ეს ინიციატივები შთამაგონებელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობით და როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რათა დედამიწის ზურგზე აღიკვეთოს ყოველგვარი წუხილი და შიში, რათა ადამიანებმა, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვონ გარანტირებული მშვიდობიანი ცხოვრების უფლება. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივები, ისევე როგორც მშვიდობისა და განიარაღების საკითხებზე ჩვენი წინანდელი წინადადებების ფართო კომპლექსი, მოწმობს, რომ თუ მეორე მხარეცაც გამოიჩინა კეთილი ნება, შეეძლებთ მტკიცედ დავაჩქაროთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი. მაგრამ ამას ხელს უშლიან აგრესიული იმპერიალისტური წრეები და მათთან პირშეკრული ძალები. ნატოელი სტრატეგები ჯიუტად აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას და ისწრაფვიან შეიცალონ დამკვიდრებული ძალების დაახლოებითი თანაარსებობა, დაარღვიონ მხარეთა თანაბარი უშიშროების პრინციპი და მოიპოვონ სამხედრო უპირატესობა, შესაძლებლობა — ძალის პოზიციიდან იმოქმედონ სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

განსაკუთრებით საშიშია დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე ახალი ტიპის ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების გეგმები. ამ გეგმების რეალიზაცია ევროპის კონტინენტზე მკვეთრად გააძლიერებდა ბირთვული იარაღის გამოყენებით სამხედრო კონფლიქტის საფრთხეს. განა საჭიროა იმის თქმა, თუ რაოდენ ეწინააღმდეგება ასეთი პერსპექტივა ევროპის ხალხთა საარსებო ინტერესებს, ესოდენ რომ ესწრაფვიან მტკიცე მშვიდობასა და უშიშროებას!

დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ცდილობენ თავიანთი საშიში ზრახვები იმით გაამართლონ, თითქოს საბჭოთა კავშირს უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად გაეძლიერებინოს თავისი შეიარაღება ევროპაში. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამხილა ამ, უკაცრავად პასუხია, „მოსაზრების“ მთელი ამსურდულობა. იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირს არ გაუზრდია თავისი შეიარაღებული ძალები არც ერთი ჯარისკაცით, არც ერთი ტანკით, არც ერთი რაკეტით, ამერიკის შეერთებული შტატების განკარგულებაში არსებული ბირთვული მუხტების რაოდენობა ევროპაში, როგორც დასავლეთის პრესა იუწყება, 1970 წლიდან დაახლოებით ერთიორად გადიდდა. 1977 წელს ნატოს ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე შეყვანილ იქნა თითქმის 18 ათასი, ხოლო 1978 წელს—კიდევ 17 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი.

ატლანტიკური ბლოკის პოლიტიკოსები თვალთმაქცურად აცხადებენ, რომ ისინი სულაც არ უარყოფენ საბჭოთა წინადადებების პოზიტიურ აზრს, მათ, თურმე, მეტი სდომებიათ. საკითხავია, მაშ რაღა არ გადმოდგამენ რეალურ საპასუხო ნაბიჯს?

თავიანთ მომართვაში ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა პარლამენტებმა ნატოს სახელმწიფოების პარლამენტებს მოუწოდეს მეელი პასუხისმგებლობით მისდგომოდნენ გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე, განალაგონ თუ არა ამერიკული ბირთვული იარაღის ახალი სისტემები დასავლეთ ევროპაში. ხალხებს იმედი აქვთ, რომ კონტინენტის ქვეყნების პარლამენტები, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყველფერს იღონებენ, რათა არ დაუშვან გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპი და დაამკვიდრონ მშვიდობა ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ. **(ტაში).**

ჩვენი კონტინენტი არჩევანის წინაშე დგას: ან მშვიდობიანი თანაარსებობა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, ანდა — სამხედრო ხარჯების ახალი ტვირთი, ახალი ნაბიჯი გამალებული შეიარაღების გზაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიღებთ საჭირო გადაწყვეტილებებს, ვინაიდან ჩვენი ხალხის უშიშროება ჩვენთვის ისეთი წმიდათაწმიდა რამ არის, რომლის ხელყოფასაც არავის დავანებებთ. **(მჭუხარე ტაში).**

ამხანაგებო!

რეალური სოციალიზმი — ოქტომბრისა და სხვა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციების პირმშო, რომლებიც მას მოჰყვა, — სულ უფრო ქმედითი ძალა ხდება ყომო მსოფლიოსათვის, ადამიანის საკეთილდღეო აღმშენებლობის სამყაროსათვის ბრძოლაში. მომმე ქვეყნები, რომლებიც სოლიდარულად, საერთო შეთანხმებულ პოზიციებს ადგანან, იღწიან საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის რადიკალური გაჯანსაღებისათის.

ათწლეულების გამავლობაში ვიცით, რომ თითოეული სოციალისტური ქვეყნისა და მთელი თანამეგობრობის აყვავების საჭირო პირობაა ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება. სრული თანასწორუფლებიანობა და სუვერენიტეტის პატივისცემა, ნებაყოფლობითი შეკავშირება, მჭიდრო ურთიერთმოქმედება მსოფლიო ასპარეზზე, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება — აი რისგან შედგება სოციალისტური საერთაშორისო ურთიერთობა. იგი ხორცს ისხამს როგორც მომმე ქვეყნების ორმხრივი კავშირურთიერთობით, ისე მათი კოლექტიური ორგანიზაციების — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის ხელშეკრულების საქმიანობით.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე ჩვენი თანამეგობრობის განმტკიცების ერთიანი მისწრაფებით არის გამსჭვალული ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და მომმე პარტიებისა და სახელმწიფოების ხელმძღვანელთა შეხვედრები და საუბრები ყირიმში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავის დღესასწაულობის მონაწილე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი უთვალსაჩინოესი მნიშვნელობის მოვლენად გადაიქცა როგორც ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების ურთიერთმოქმედების განმტკიცების, ისე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საარსებო ინტერესების თვალსაზრისით.

გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა ყალბ მითს „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ შესახებ. ამ ღვარძლიანი მონაჩმახის დახმარებით მონოპოლიები ცდილობენ შექმნან „ფსიქოლოგიური ომის“ აბრმოსფერო, გაბერონ სამხედრო ასიგნებანი, გააფართოონ სამხედრო წარმოება, მიიღონ მილიარდობით მოგება. პეკინელ პოლიტიკოსებს კი ეს სიკრუე — ისინიც ცდილობენ მის გავრცელებას — საჭიროებათ იმისათვის, რომ შეაღწიონ ნატოს არსენალებში, შენიღბონ თავიანთი ჰეგემონისტურ-ექსპანსიონისტური მიზნები, პირი შეკრან იმპერიალისტურ რეაქციასთან.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ იმპერიალიზმის იდეოლოგები და პოლიტიკოსები, ჩინეთის მილიტარიზაციას რომ აქებენენ, ამართლებენ რა პეკინს, რომელიც ცდილობს „დასაკოს“ სუვერენული სახელმწიფოები, აშკარად ეწინააღმდეგებიან ეროვნულ-განთავისუფლებელ მოძრაობას. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ეროვნულ-განთავისუფლებელ მოძრაობაში ჩამოყალიბებულ ძალთა პარტიები ადგანან ეროვნულ-განთავისუფლებელ ბრძოლის ბოლამდე, იზიარებენ ეროვნულ-განთავისუფლებელ ბრძოლის ინტერნაციონალურ ბუნებას, ებრძვიან ეროვნულ-განთავისუფლებელ ბრძოლაში ერთიანი ფრონტის ბოლამდე

ლენინის ქალაქი — დიდი ოქტომბრის აკვანი



ლენინგრადი. ამ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი ზეიმობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავს, უწყვეტ ნაკადად მოდის ხალხი კრეისერ „ავრორას“ დასათვალიერებლად. 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) ამ ლეგენდარული ხომალდის 6-დიუმიანმა საბაკო ქვემეხმა მსოფლიოს აუწყა, რომ კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა; საბჭოთა ხელისუფლების პირველი ისტორიული დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ; ი. სერებრიანის სურათი — „ვ. ი. ლენინის გამოსვლა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე 1917 წლის 26 ოქტომბერს“.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ოქტომბრის შესახვედრად

ანტანანარივუ. „დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიის ახალ ერას, მან გვიჩვენა, რომ შეგვიძლია მოვუღოთ ბოლო საზოგადოებრივ სისტემას, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხის მასების ექსპლოატაცია, და რომ სოციალიზმის მშენებლობა უტოპია არ არის“. ამას წერს მალაგასიის ავტორიტეტიანი გაზეთი „იმუნგუ ვაუვაუ“.

მონიმას სოციალისტური ორგანიზაციის პარტიის ორგანო გაზეთი „ფიტუვიან-ცარანგა“ დიდად აფასებს საბჭოთა ხალხის სოციალისტურ მონაპოვრებს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განვლილ წლებში.

დელი. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების, ნათელი მომავლისათვის ბრძოლის გზა დაუსახა კაცობრიობას, უდიდესი გავლენა მოახდინა ინდოეთზე. რუსეთის მაგალითმა, საბჭოთა ხალხის გრანდიოზულმა წარმატებებმა ხელი შეუწყო კოლონიზატორების წინააღმდეგ ინდოელი ხალხის ბრძოლის გაძლიერებას, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სტუდენტთა სრულიად ინდოეთის ფედერაციის თავმჯდომარემ ჯ. ანჯანმა.

ინდოელი ქალიშვილები და ჭაბუკები ფართოდ აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავს. დელში, კალკუტაში, ბომბეიში, მადრასსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში ამ დღეებში ეწყობა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ორგანიზაციებისმიტინგები, კონფერენციები და სემინარები, რომლებიც ამ ღირსსახსოვარ თარიღს ეძღვნება, აღნიშნა მან.

ლონდონი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავის გამო ლონდონის ერთ-ერთ უდიდეს თეატრში — „შაფტსბერიტეატერში“ გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ინიციატივით მოეწყო.

მოკლედ

ყოველი მსრიდან

6 ნოემბერი

● **ლონდონი.** აქ მიმდინარე მოლაპარაკებაზე როდეზიის შესახებ ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის პოზიციას მხარი დაუჭირა ტანზანიის პრეზიდენტმა ჯ. ნიერერემ. გაზეთ „ობსერვერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკება ჩაიშლება, თუ ინგლისმა არ მიიღო პატრიოტული ფრონტის წინადადებანი სოლსბერის რეჟიმის დამხჯელი აპარატის ლიკვიდაციისა და პატრიოტებისათვის იმის შესაძლებლობის მიცემის შესახებ, რომ მონაწილეობა მიიღონ ნამდვილად დემოკრატიულ არჩევნებში.

● **ლისაბონი.** როდეზიის მხედრიონი ისრაელ დაქირავებულებს იყენებს ოპერაციებში მეზობელი აფრიკული სახელმწიფოების წინააღმდეგ. ეს განაცხადა არაბი ხალხებისადმი სოლიდარობის მსოფლიო კონგრესზე მოზამბიკის დელეგაციის მეთაურმა, მოზამბიკის ელჩმა პორტუგალიაში არმანდუ პანგენემ. მოზამბიკის არმიის მეომრებმა რასისტების ერთ-ერთი თავდასხმის დროს ჩამოაგდეს როდეზიის ორი თვითმფრინავი, რომლებსაც მართავდნენ ისრაელი მფრინავები, აღნიშნა მოზამბიკის დელეგატმა.

● **ლა-პასი.** მდგომარეობა ბოლივიაში, სადაც წარსულ ხუთშაბათს სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, კვლავ უკიდურესად დაძაბულია. ქვეყანაში მოქმედებს საალყო წესები, კომენდანტის საათი, შემოღებულია ცენზურა. ქალაქის ჭუჭებს პატრულობენ არმიის ქვედანაყოფები, ჯავშნიანი მანქანები და ტანკები.

● **ტოკიო.** იაპონიის მმართველ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში კრიზისმა კულმინაციურ მომენტს მიაღწია. პირველად ქვეყნის ისტორიაში პარლამენტის სესიაზე განიხილავენ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის საკითხს ისეთ სიტუაციაში, როცა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისაგან ამ პოსტზე პრეტენზიას აცხადებს ერთბაშად ორი კაცი — მ. ოხირა და ტ. ფუკუდა, რომლებიც წინათ მინისტრთა კაბინეტის მეთაურები იყვნენ.

თეირანის რადიოს ცნობა

თეირანი, 5 ოქტომბერი. თეირანის რადიომ გადასცა არმიის სარდლობის ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 1 ნოემბერს მთავრობის ჯარების ბატალიონი ჩასაფრებულ ქურთებს წააწყდა ქალაქ ბანეს გარეუბანში. ამის შედეგად 37 ჯარისკაცი დაზოგილია, 70 დაჭრილია და 60 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ცნობაში აღნიშნულია, რომ ეს თავდასხმა მოხდა იმ დროს, როცა მოქმედებდა ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. პრემიერ-მინისტრმა ბაზარგანმა განაცხადა რადიოთი გამოსვლისას, რომ ბატალიონს ცეცხლი დაუშინეს „შემარცხენე პარტიზანებმა“. თეირანის რადიოს ცნობით, იმათ, ვინც ჩასაფრება მოაწყო, „სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ, ისინი არ ყოფილან ქურთები და ქურთულად არც კი ლაპარაკობდნენ“.

ლონდონი, 5 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა მეჰაბადში განაცხადა, რომ პარტიის ლიდერმა ყასემლუმ და ქურთთა თემის სულიერმა ლიდერმა შეიხმა ჰოსეინმა ქურთთა პარტიზანულ ნაწილებს უბრძანეს შეწყვიტონ ყოველგვარი საომარი მოქმედება, სანამ მოლაპარაკება წარმოებს მთავრობასთან. ამ წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის მებრძოლთ მონაწილეობა არ მიუღიათ ქალაქ ბანეში მთავრობის ჯარების ბატალიონზე თავდასხმაში.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო სტუდენტთა ხელშია

თეირანი, 5 ნოემბერი. გუშინდღიდან ამერიკის შეერთებული შტატების თეირანის საელჩო ხელთ უპყრიათ ირანელ სტუდენტებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ გადასცენ შეერთებულ შტატებში მყოფი ირანის ყოფილი შაჰი. მათ მძევლებად შეპყრობილი ჰყავთ საელჩოს ასამდე თანამშრომელი.

სტუდენტთა წარმომადგენელმა, წერს გაზეთი „ბამდადი“, განაცხადა, რომ ამერიკის საელჩოში ხელთ იგდეს დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელი ურევია ირანის წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ მოქმედებაში.

ფარსის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თეირანის საელჩოს ხელში ჩაგდება იმის პასუხია, რომ „ამერიკის ადმინისტრაციამ უგულებელყო ირანელი ხალხის მოთხოვნები“.

საპროტესტო ნოტა

ბაღდადი, 5 ნოემბერი. როგორც გაზეთი „ალჯუმჰურია“ იუწყება, ერაყმა მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ „კვლავ გრძელდება თავდასხმები ერაყის თეირანის საელჩოსა და მუჰამარის გენერალურ საკონსულოზე“. საპროტესტო ნოტაში, რომელიც ბაღდადში გადასცეს ირანის ელჩს, აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების დამრღვევი ასეთი აქციების გამეორების მიზანია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუარესება. ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს თავდასხმები ერაყის წარმომადგენლობებზე ირანში და დამნაშავენი დაისაჯონ.

ერაყის საინფორმაციო საგენტო იუწყება, რომ „კვლავ დაესწრნენ თავს მუჰამარის გენერალურ საკონსულოს. თავდამსხმელებმა თან წაიყვანეს ორი ერაყელი დიპლომატი და საკონსულოს სამი მუშაკი.

პეკინის ამაო ცდები

სტოკჰოლმი, 5 ნოემბერი. აქ გამოირკვა, რომ პროპეკინურ დაჯგუფებათა წევრ რამდენიმე მოღვაწეს განზრახული აქვს მოაწყონ თავყრილობა, რომელსაც ისინი „კამპუჩიისადმი მიძღვნილ კონფერენციას“ უწოდებენ. პეკინში ამასწინანდელი ვიზიტის დროს თავყრილობის მესვეურნი მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ ლი სიანინმა, რომელმაც მათ „ჩინეთის ფინანსური და პროპაგანდისტული მხარდაჭერა“ აღუთქვა.

ამჟარად პროვოკაციული მიზნით „დოკუმენტური მასალების“ შეგროვების“ საბაბით თავყრილობის ზოგიერთი მონაწილე ჰყავდათ ტაილანდის მოსაზღვრე კამპუჩიის რაიონებში, სადაც პოლპოტელთა ბანდების ნაშთები აფარებენ თავს.

პეკინის პირდაპირი ხელშეწყობით მზადდება კამპუჩიელი ხალხის წინააღმდეგ მიმართული მორიგი კამპანია, რითაც პეკინელი ლიდერები სრულიად ამაოდ ცდილობენ მსოფლიო საზოგადოებრიობას მოაჩვენონ, თითქოს ხალხის მიერ დამხობილი პოლ პოტის მარიონეტული პროპეკინური რეჟიმი „მოქმედებდეს“.

ვაზისუბნის მასივს შეემატა

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ ვაზისუბანში აღმართული ახალი ცხრასართულიანი სახლის ბინების ორდერები მიიღეს თბილისის სამრეწველო საწარმოების მუშებმა და სარესტავრაციო ძველი სახლების მცხოვრებლებმა. ეს სახლი წელს უკვე მესამეა, რომელიც რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 1 სახლთსაშენებელი კომბინატის მუშის ვ. ნიკურაძის ბრიგადამ ააშენა. მშენებლებს ნაგებობის მონტაჟისათვის სულ ასი დღე სჭირდებათ. მათ ნორმასთან შედარებით სამჯერ შეამცირეს სახლების მოპირკეთების ვადები.

მშენებელთა მაღალრიტმული მუშაობის უზრუნველყოფაში დიდი წვლილი მიუძღვით № 1 სახლთსაშენებელ კომბინატს და ავტომობილისტებს. მომიჯნავენი შრომობენ ერთიანი ჩქაროსნული გრაფიკით. კომბინატი ზუსტი თანმიმდევრობით და მონტაჟის ტექნოლოგიის გათვალისწინებით აწვდის ობიექტებს კონსტრუქციებს, ხოლო პანელსაზიდების მძღოლებს საათობრივი გრაფიკით მიაქვთ ეს ნაწარმი სამშენებლო მოედნებზე. ამგვარად სახლებს პირდაპირ მანქანებიდან ამონტაჟებენ.

ვაზისუბნის მასივის აშენება 1977 წელს დაიწყო, მარტო მიმდინარე წელს აქ აშენდა კიდევ 10 სახლი, რომლებშიც ახლა სამი ათასამდე თბილისელი ცხოვრობს. (საქინფორმი).

„საგჭოთა ხელოვნება“ № 10

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მორიგი, მე-10 ნომერი. იგი იხსნება ა. დავალიშვილის წერილით „ხალხის ხელოვნება“, რომელიც საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავს ეძღვნება.

ახალ ნომერში მკითხველმა შეიძლება წაიკითხოს აგრეთვე მ. ულიანოვის „მაყურებელთა დარბაზში მილიონებია“, ი. აბაშიძის „მცირე მოგონება ნატო ვაჩნაძეზე“, ნ. გურაბანიძის „ეპოქის სუნთქვა“, ა. ვასაძის „მოგონებები და ფიქრები“, მოლიერის „დონ-ჟუანის“ გ. ეკიზაშვილისეული თარგმანი და სხვა მასალები.

საფოსტო მარკები

მოსკოვში გაიხსნა ფილატელისტური გამოფენა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფოსტო მარკები მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“. იგი მოაწყვეს საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსკოვის საინფორმაციო ცენტრმა და საბჭოთა კავშირის ფილატელისტთა საზოგადოებამ.

1951 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფოსტო ადმინისტრაციამ გამოუშვა რამდენიმე ასეული საფოსტო მარკა, რომელთაგან ბევრი ამ გამოფენაზეა წარმოდგენილი. მათი თემატიკა ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის და განიარაღებისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მარკები ასახავენ ორგანიზაციის საქმიანობას. საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობისა და კულტურის დარგში. მაგალითად, ერთ-ერთი უკანასკნელი სერია ეძღვნება ბავშვის საერთაშორისო წელს. (საკდესის კორ.).

ამ დღეთა სიახლენი

ჭ ე რ ი

თბილისში გაიხსნა „მხატვრის სახლი“

ყოფილი სასტუმრო „ინტურისტი“ რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახახლის წინ, რა თქმა უნდა, იცით. ამ მშვენიერ შენობას, რამდენიმე წელია ქართველი მხატვრები „დაეპატრონენ“, ჯერ რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობა გადავიდა იქ, შემდეგ, კარგა ხანს მიდიოდა სხვადასხვა ადგილის (რესტორნის, კაფეს) გადაკეთება-შეკეთების სამუშაოები. რესტორნის ადგილი, ავ თვალს რომ არ ენახვება, ისეთმა საგამოფენო დარბაზმა დაიკავა, მარჯვენა მხარე კაფეს დაეთმო, ხოლო ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, ქაშუეთის წინ მდებარე სახინკლე — სპეციალურ სალონს.

და აი, გუშინ გაიმართა საზეიმო გახსნა და შენობასაც „მხატვრის სახლი“ ეწოდა.

— ასრულდა ქართველი მხატვრების დიდი ხნის ოცნება, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯანბერიძემ. — უკეთეს საჩუქარს ვერც ვინატრებდით, სახვითი ხელოვნების ქართველ ოსტატებს საშუალება ექნებათ ფართოდ გაშალონ შემოქმედებითი მუშაობა, უფრო მეტი პროპაგანდა გაეწიოს მათ საუკეთესო ნაწარმოებებს.

უახლოეს ხანში დამთავრდება სამუშაოები შენობის ზედა სართულზე, იქაც გაიხსნება საგამოფენო, სხდომათა დარბაზები, ყველაფერი ეს ერთად კი, უეჭველია, ხელს შეუწყობს სახვითი ხელოვნების შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში.

მთელი ამ კომპლექსის მშენებება, რა თქმა უნდა, საგამოფენო დარბაზია (არქიტექტორი — შ. უალაშვილი), იგი სავსებით შეესაბამება საგამოფენო დარბაზების თანამედროვე მოთხოვნებს. ყველა სურათს თავისი განათების წყარო აქვს, ექსპოზიცია უბრალოა და შთამბეჭდავი.

ალბათ სიმბოლურია, რომ პირველად დარბაზი იმ ქართველ ფუნჯის ოსტატებს დაეთმო, რომლებიც უკვე ჩვენ შორის აღარ არიან, მაგრამ თავიანთი შემოქმედებით საფუძველი ჩაუყარეს, განავითარეს და განაპირობეს კიდეც ქართული სახვითი ხელოვნების მაღალი დონე.

დამთვალიერებელი ერთხელ კიდევ სიამოვნებით გაეცნობა თ. აბაკელიას, ე. ახვლედიანის, ე. ბაღდავაძის, გ. გაბაშვილის, დ. კაკაბაძის, ნ. კანდელაკის, მ. თოიძის, ქ. მაღალაშვილის, ს. ქობულაძის, პ. ოცხელის, ვ. სიდამონ-ერისთავის და სხვათა ბრწყინვალე ნაწარმოებებს.

თანდათან კი ამ დარბაზში სპეციალური გეგმის მიხედვით მოეწყობა პერსონალური გამოფენები.

აღსანიშნავია, რომ შენობაში ყველაფერი „მხატვრის სახლის“ საერთო სახეს დაუკავშირდა. მაგალითად, კაფეს კარგად გადაწყვეტილ ინტერიერში ყურადღებას მიიპყრობს გ. ყანდარელის გობელენი „ფიროსმანის სამყარო“, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ქართული გობელენის დარგში.

რაც შეეხება სპეციალურ სალონს, იქ მოეწყობა გამოჩენილი ქართველი მხატვრების ს. ქობულაძის, ზ. ნიკარაძის, დ. ერისთავის, გ. თოიძის, რ. ბოროდაის, თ. მირზაშვილის და სხვათა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

ვსარგებლობ შემთხვევით, და მინდა მადლობა გადავუხადო რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ყოველდღიური დახმარებისათვის, ქართველ მხატვრებს ისევ დარჩენიათ, რომ საქმით, ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებით უპასუხონ ამ დიდ ზრუნვასა და ყურადღებას.

სურათზე: მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზის ერთ-ერთი კუთხე.

ს. კილაძის ფოტო.

ზუგდიდ-სოხუმის გზატკეცილთან

ზუგდიდი. (საკ. კორ. გ. ნოდია). ზუგდიდ-სოხუმის გზატკეცილთან ახლოს, მოსკოვის ქუჩაზე ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სარაიონთაშორისო ავტოტექმომსახურების სადგური. იგი ერთდროულად ემსახურება ინდივიდუალურ მფლობელთა 15 მუხუტ მანქანას. ახალ ობიექტს, რომელიც აღჭურვილია საბჭოთა და საზღვარგარეთული მოწყობილობით, აქვს სათუნუქე, სამღებრო, საშრობი, გაზშესადუღებელი, ელექტრომოწყობილობის, ძრავის, კაპიტალური შეკეთების, სავულკანიზაციო, რბილი მოწყობილობის შეკეთების და აკუმულატორების საამქროები. აქვე შეიქმნა ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერებისა და დიაგნოსტიკის საარაიონთაშორისო პოსტი. ხელოსან-შემკეთებლების საყოფაცხოვრებო პირობებისათვის მოეწყო საშხაპე, სასადილო, წოთელი კუთხე. შენობა უზრუნველყოფილია გათბობითა და სავენტილაციო კამერებით.

სადგური ააშენა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის № 4 ტრესტის ზუგდიდის № 133 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი — ს. ციმინტია).



სურათზე: ქალაქ ზუგდიდის ახალი ავტოტექმომსახურების სადგურის საერთო ხედი.

კ. ყუფუნიას ფოტო.



სურათზე: ახალი მიწისქვეშა გადასასვლელი თბილისის გამარჯვების პარკთან.

ს. კილაძის ფოტო.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

გუშინ, საღამოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან თბილისში სპეციალური რეისით ჩამოფრინდა თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიყვანა დღევანდელ მატჩში თბილისის „დინამოს“ მეტოქეები — „ჰამბურგის“ ფეხბურთელები. გუნდს თან ჩამოყვა ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი.

ორი საათით ადრე ჩამოფრინდნენ მატჩის არბიტრები — ბელგიელი მსაჯები ალექს პონეტი, ჟან-კლოდ ჟურკინი და ალფონს დენილეკი, აგრეთვე უეფას წარმომადგენელი, მატჩის ზედამხედველი ბუჩელი (შვეიცარია).

„კომუნისტის“ კორესპონდენტი აეროპორტში შეხვდა სტუმართა გუნდის წარმომადგენლებს და მცირე ინტერვიუ ჩამოართვა მათ.

მეტოქეს ამას ჰქვია!..

გიუნტერ ნეიერი, „ჰამბურგის“ მენეჯერი:

— მგზავრობა მომქანცველი არ ყოფილა, თბილისში ყველას კარგი განწყობილება დაგვეუფლა, ამინდი ნორმალურია.

— რა აზრისა ბრძანდებით ხვალინდელი მეტოქეების პირველ შეხვედრაზე?

— მატჩი საინტერესო იყო, რაშიც დიდი წვლილი, შეიტანეს თქვენმა ფეხბურთელებმა. აგერ, უკვე სამი წელიწადია „ჰამბურგის“ მწვრთნელი ვარ და ვიტყვი, რომ ამ ხნის მანძილზე ევროპულ ტურნირებში ასეთ ძლიერ მეტოქეს არ შევხვედრივართ. განსაკუთრებით მომეწონა ყიფიანის, მაჩაიძის, გუცაევისა და ბაბელიას თამაში. ვფიქრობთ, ორი ბურთის მარაგი საკმარისი აღმოჩნდება ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის.

ბრანკო ზებეცი, გუნდის უფროსი მწვრთნელი:

— ნეიერმა ზუსტად შეაფასა „დინამოს“ ძალა. მართალია პირველ მატჩში უპირატესობა გვქონდა და გავიმარჯვეთ კიდეც, მაგრამ, ვინ იცის როგორი იქნებოდა შეხვედრის საბოლოო შედეგი, რომ ჩვენთვის შემთხვევითობას არ გაემართა ხელი. ვფიქრობ, ხვალინდელ მატჩში დიდი საფრთხე გველის ყიფიანისაგან, აგრეთვე მაჩაიძისა და გუცაევისაგან. თუმცა ვიმედოვნებთ, რომ საბოლოო ანგარიშით ჩვენ გავიმარჯვებთ.

რაც შეეხება ჩვენს გუნდს, მასში ცვლილებები არ არის.

მანფრედ კალტიი. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე:

— „დინამოს“ სახით მართლაც ძლიერი მეტოქე შეგვხვდა, მანამდე ჩვენ სრული წარმოდგენა არ გვქონდა თქვენს გუნდზე და რატომღაც გვეგონა, რომ ძალისმიერ და სწორხაზოვან თამაშს დაგვიპირისპირებდა. ახლა კი დავრწმუნდით, რომ „დინამო“ ძალზე მაღალტექნიკურ და გაგაზრებულ ფეხბურთს თამაშობს.

კევინ კიგანი, 1978 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი:

— როგორ დამთავრდება დღევანდელი მატჩი? (ეგანს ეღიმება) ჩემის აზრით ანგარიში იქნება 1:1, ყოველ შემთხვევაში ორი ბურთის უპირატესობა საგულისხმო ფაქტორია. რაც შეეხება „დინამოს“ იგი მაღალი კლასის გუნდია, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაჩაიძის თამაშმა, კიდევ ვის გამოვყოფ? ყიფიანს, გუცაევს...

✦ ✦

გუშინვე „ჰამბურგმა“ პირველი წვრთნა ჩაატარა „დინამოს“ სტადიონზე. „სუპერ“ — ასეთი შეფასება მისცეს მათ სტადიონსა და მოედანს.

ლ. დადიანი.

ლ. მართაშვილისა და ა. ერაძის ნახ.

იმედიანად ვარ თ!

უდიდესი ინტერესით მოველი ამ შეხვედრას. ეჭვი არ მეპარება, რომ დინამოელები ჰამბურგელებთან თამაშით კიდევ უფრო აამაღლებენ საბჭოთა ფეხბურთის საერთაშორისო ავტორიტეტს.

ლ. გუდიაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

ძალიან გვინდა, რომ ჩვენს დღესა და სასიხარულო დღესასწაულს თავისი ლაზათი შემატოს ფეხბურთის დღესასწაულმაც. პრაქტიკას არაერთგზის დაუმტკიცებია: როცა ჩვენს სპორტსმენებს საქმე კარგად მიუდით, უფრო მარჯვედ ვმუშაობთ.

ო. ლომაძე,
რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

„დინამოს“ წინაშე დგას რთული და საპატიო ამოცანა — მოუგოს „ჰამბურგს“ ორი ბურთის განსხვავებით. დარწმუნებული ვარ, რომ დინამოელები მთელ თავიანთ საუკეთესო სპორტულ და ადამიანურ ღირსებებს გამოამჟღავნებენ ამ შეხვედრაში.

ნ. გაფრინდაშვილი,
ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში.

რუსთავის ქიმიური ქარხნის მუშებთან ერთად სტადიონის ტრიბუნებზე იქნებიან ჩვენი მეგობრებიც — მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი, ჯორჯონიკელი, ტიროასპოლელი, ბაქოელი და ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული კოლეგები, რომლებიც ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობაში გვეხმარებიან. ისინი ყველანი წარმატებას უსურვებენ ქართველ ფეხბურთელებს.

ნ. ნადირაძე,
ამერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 4 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

საფეხბურთო ვნებანი



გვეტყობინებენ საკდესისა და ახალი ქმგების საკორესპონდენტები

საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია დ. ყიფიანი

დღეს გაზეთ „ტრუდის“ მკითხველებს ვთავაზობთ სპორტული ჟურნალისტებისა და კომენტატორების ტრადიციული ყოველთვიური გამოკითხვის შედეგებს, რომელთა მიხედვით განვსაზღვრავთ ოქტომბერში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელს. ამჯერად გამოკითხვაში მონაწილეობდნენ: ვ. ასაულოვი („ფუტბოლ-ხოკეი“), ა. გორბუნოვი (საკდესი), ვ. კირილიუკი (ახალი ამბების სააგენტო), ს. კოსტერინი („სოვეტსკაია როსია“), ო. კუჩერენკო („სოვეტსკი სპორტი“), ლ. ლებედევი („პრავდა“), სპორტის დამსახურებული ოსტატები ე. მაიოროვი (სახტელერადიო) და ვ. პონედელნიკი („სოვეტსკი სპორტი“), აგრეთვე ვ. სემიონოვი (სახტელერადიო) და ს. შაჩინი („კომსომოლსკაია პრავდა“).

ხმების უმრავლესობით ოქტომბერში საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი დავთ ყიფიანი.

განვლილი თვე ძნელი გამოცდა იყო თბილისის დინამოელებისათვის. ისინი ევროპის ჩემპიონთასის მატჩებში შეხვდნენ ისეთ მძლავრ მეტოქეებს, როგორიებიარიან ინგლისის „ლივერპული“ და გერმანიის ფეიერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგი“. ამ მაღალი დონის შეხვედრებში ყიფიანმა შესანიშნავად ითამაშა და საეტალონო გოლი გაიტანა დასავლეთ გერმანიის ჩემპიონის კარში.

ვუსურვოთ თბილისელ 28 წლის თავდამსხმელს და მის გუნდს წარმატება „ჰამბურგთან“ განმეორებითის მატჩში!

(„ტრუდი“, 1979 წ. 6/XI)

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

7 ნოემბერი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.50 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია. თბილისიდან და მოსკოვიდან (ფ.), დასასრულ — საზეიმო პიონერული კონცერტი (მ.), 14.15 — მულტიპლიკაციური ფილმები, 14.45 — ბავშვის საერთაშორისო წელი. ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზღარბი“. პრემიერა (ფ.), 15.10 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (ფ.), 15.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოველი გოგო“. პრემიერა (ფ.), 16.15 — კინონარკვევი, 16.25 — გადაცემა — „ვუმღერ საშობლოს“ (ფ.), 17.00 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი (ფ.), 19.00 — ფეხბურთი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე: „დინამო“ (თბილისი) — „ჰამბურგი“ (გფრ). რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს — კინოჟურნალი, 20.45 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.20 — საზეიმო კონცერტი (ფ.), 22.00 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი (მ.), 23.00 — სპორტული პროგრამა: 1. ფეხბურთი უეფას თასზე კიევის „დინამო“ — ოსტრავის „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია). მეორე გაიმი კიევიდან. 2. ფეხბურთი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. „დინამო“ (თბილისი) — „ჰამბურგი“ (გფრ). მეორე გაიმი (მ.).

კომუნისტი რედაქცია:

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

380096 თბილისი-96, ლენინის 14.

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მუშაკებისა — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მუშათა წერილების — 99-73-24, ილustრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

საქართველო